კიდევ ერთი დამარცხება
“ლოკომოტივი” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი)

თამაშის მე–7 წუთია. “ლოკომოტივის” მარჯვენა გარემარბმა რაზუმოვსკიმ შორიდან მიიღო გადაცემა, მოხერხებულად გაექცა სარჯველაძეს, რომელიც მას ერთობ სწრაფი ტემპით გამოეკიდა და კართან გავიდა, “დინამოს” მეკარემ პირაევმა კარი დატოვა ყველაზე უფრო შეუფერებელ მომენტში და მოსკოველმა მშვიდად გაიტანა ბურთი.

65–ე წუთზე პირაევმა კვლავ ანგარიშმიუცემლად, უხეში ტაქტიკური შეცდომით დატოვა კარი და საჯარიმო მოედნის ხაზთან გამოსულმა უმისამართოდ მოიგერია ბურთი. გულიაევმა (№11) შორი მანძილიდან ზუსტი დარტყმით გაგზავნა იგი კარში.

მატჩის დამთავრებას წუთ-ნახევარი აკლდა, როცა რაზუმოვსკი კვლავ გაექცა სარჯველაძეს, რომელიც მთელ თამაშში ხშირად კითხულობდა მის ზურგზე შვიდიანს, გადააწოდა ცენტრში. აქ გადაცემა მიიღო ბუბუკინმა (№8) და დაარტყა კარში. პირაევმა დაუფიქრებლად შეუშვირა ხელები, აღებას ფიქრობდა, მაგრამ... თავს უკან გადააგდო და ბურთი საკუთარ ბადეში გაახვია.

ასე გავიდა 4 ივნისის მატჩში თბილისის “დინამოს” კარში 3 ბურთი. თითქმის ყოველთვის ანალოგიურ, უხეშ შეცდომებს უშვებენ “დინამოს” მცველები. შეიძლება ითქვას, რომ “ა” კლასში ამჟამად თითქმის არც ერთი გუნდის კარში არაა ისე იოლი ბურთის გატანა, როგორც თბილისელთა გოლში, ხოლო პირაევის თამაში იმდენად უსუსური და დაბალი კვალიფიკაციისა, რომ მის შესახებ კომენტარები ზედმეტია. მხოლოდ მწვრთნელის შეცდომით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ რუმინეთის ფეხბურთელებთან მეტად სუსტად ჩატარებული თამაშის შემდეგ, პირაევი 4 ივნისს კვლავ 90 წუთი იდგა კარში. და ეს მაშინ, როცა სათადარიგო მეკარე შოთა კიტია ამჟამად მასზე გაცილებით უკეთ თამაშობს.

მაგრამ, მხოლოდ მეკარეში და დაცვაში არაა საქმე. ის თამაში, რომელსაც დინამოელები აჩვენებენ მაყურებლებს, იოტის ოდენადაც ვერ აკმაყოფილებს მათ. მოედანზე არაა ერთიანი, მთლიანი კოლექტივი, არ ჩანს სწრაფვა გამარჯვებისადმი, თბილისელები აგებდნენ თამაშს ანგარიშით 0:1 და შემდეგ შეძლეს ზედიზედ ორი ბურთის გატანა (ვარდიმიადი, კალოევი), მაგრამ ამას მათში არ გამოუწვევია რაიმე აღმავლობა. მათ კვლავ მისცეს საშუალება მოწინააღმდეგეს ხელთ აეღო ინიციატივა და თავის სასარგებლოდ დაემთავრებინა შეხვედრა.

მოკლე წერილში ძნელია თამაშის დაწვრილებით ანალიზის გაკეთება, მაგრამ ისეთმა პრიმიტიულმა ამბებმა, როგორიცაა ღოღობერიძის მიერ პენალტის სისტემატური გამოუყენებლობა, კუთხური მოწოდების ტრაფარეტული გათამაშება, მოწინააღმდეგის კარის მახლობლად საჯარიმო დარტყმების ფუჭად დაკარგვა (იმავე ღოღობერიძის წყალობით), უხეში შეცდომები ნახევარდაცვასა და დაცვის თამაშში, სერიოზულად უნდა დააფიქროს “დინამოს” რესპუბლიკური საბჭო და გუნდის ხელმძღვანელობა. წინააღმდეგ შემთხვევაში კოლექტივი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება.

კარგად ჩაატარეს მატჩი “დინამოს” დუბლიორებმა მოსკოვის რკინიგზელთა წინააღმდეგ. ჩიჩუამ და მესხმა ორი შესანიშნავი გოლი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

დ. გომართელი.

“ლელო”, 5 ივნისი, 1955 წ.